

დავით ცხომელიძე, ნატალია ჭილაძე, ეკატერინე მჭედლიშვილი,
ნინო ხარაძე, თინათინ გოგიჩაძე

საქართველოში ცხოველების რაოდენობის რეგულაციის ზოგიერთი თავისებურებების
შესახებ და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამედიცინო ბიოლოგიისა და
პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.04.27>

DAVIT TSKHOMELIDZE, NATALIA CHILADZE, EKATERINE MCHEDLISHVILI,
NINO KHARADZE, TINATIN GOGICHADZE

ABOUT SOME PECULIARITIES OF THE REGULATION OF THE NUMBER OF ANIMALS IN
GEORGIA AND RELATED ECOLOGICAL RISKS

Tbilisi State medical University, Department of medical Biology and Parasitology, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Today, the number of homeless animals, especially street dogs, has significantly increased in Georgia. The number of domestic animals has also increased significantly. Statistical data in this direction are only at the level of conjecture. The pollution of the streets by both homeless animals and domestic animals with feces and the eggs of parasites present in them is also a big problem in the country, which is a serious threat to the spread of various infectious diseases in Georgia.

However, it is not pleasant in any other way to see the streets of the cities littered with animal feces and to consider this as a normal occurrence. Moreover, the ecological threats arising under the conditions of global warming require an in-depth analysis of the mentioned problems and timely adoption of certain decisions acceptance. In our opinion, first of all, it is necessary to register sick animals throughout Georgia and to treat them. It is also important to finance the construction of new kennels. It would also be good if more Georgian citizens manage to adopt homeless dogs from the street instead of expensive breed dogs and take care of them.

Keywords: regulation, animals, Georgia, ecological risks

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა თუ რა შეიძლება იყოს საქართველოში მიუსათარი ცხოველების (ძირითადად ძაღლების) რაოდენობის ცვლილების მიზეზი და ამასთან დაკავშირებით გლობალური დათბობის პირობებში რა ტიპის ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება ელოდება საქართველოს მომავალში. ჩვენდა სამწუხაროდ, მიზეზები ბევრი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოდითგანვე პატივს სცემდნენ ცხოველებს და იჩენდნენ მათზე განსაკუთრებულ მზრუნველობას, სადღეისოდ მაინც შეიმჩნევა ერთგვარი ზერეღე დამოკიდებულება ცხოველების მოვლასთან და მათ გარემოში ადაპტაციასთან დაკავშირებით.

ადამიანების გარკვეულ ნაწილს ჯერაც არ აქვს გათვითცნობიერებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ცხოველის ოჯახში ყოფნას უკავშირდება. ასევე ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია პატრონების მიერ შინაური ცხოველების ქუჩაში გაშვება და შემდგომში მათზე ქუჩაში მზრუნველობის გაგრძელება ან საერთოდ თავიდან მოცილება. ჩვენ ჩავატარეთ ერთგვარი გამოკითხვა მოსახლეობაში და მივედით იმ დასკვნამდე, რომ პრობლემა გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ზოგჯერ ცხოველებთან განშორების მიზეზი შეიძლება იყოს ალერგია ცხოველის ბუნვის მიმართ, ზოგჯერ ავადმყოფობის გადადების შიში, ზოგჯერ ზიზღი ტილებისა და რწყილების მიმართ, რომელიც მკურნალობის მიუხედავად შეიძლება ცხოველს ხელახლა გაუჩნდეს, ზოგჯერ ეკონომიური სიღუბე და ასე შემდეგ. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პატრონი ვერ იმორჩილებს შინაურ ცხოველს და ოჯახში ცხოველი ხდება დომინანტი და არა ადამიანი, რაც არც თუ ისე იშვიათად შეინიშნება მოსახლეობის მიერ დიდი ზომის ცხოველების შეძენის შემთხვევაში. მიუსათარი ცხოველების რაოდენობის მატებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს გასაყიდად გამზადებული ავადმყოფი ლეკვების დიდი რაოდენობა, რომელთაც დაავადების სიმპტომები მოგვიანებით უვითარდებათ ხოლმე და არც თუ ისე იშვიათად პატრონი უძლურია რამე იღონოს მათ განსაკურნებლად. ალბათ არსებობს სხვა

მიზნების, მაგრამ ფაქტი სახეზეა: ქვეყანაში მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა კატასტროფულად იზრდება მთელი საქართველოს მასშტაბით და სულ უფრო და უფრო რთულდება მათი რაოდენობის რეგულირება. ამავე დროს სად არ შეხვდებით ამ ცხოველებს - საცხოვრებელი სახლების ეზოებში და სადარბაზოებში, ავტობუსების გაჩერებებზე, სუპერმარკეტების წინ, ზღვის სანაპიროებზე და ა.შ. უფრო მეტიც, ზამთარში გათბობის მიზნით ქუჩის ძაღლები ავტობუსებშიც აღიან და მოგზაურობენ მათ მიერ არჩეული სპეციალური მარშრუტის მიხედვით, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში და პირიქით.



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი „ცხოველების მოყვარული“ პირდაპირ ქუჩებში უყრის საკვებს მიუსაფარ ცხოველებს, რაც ხელს უწყობს ანტისანიტარიის გავრცელებას და მნიშვნელოვნად აბინძურებს ქალაქს. უფრო მეტიც, ქუჩაში დაყრილი ამგვარი „ხორავით“ საბოლოო ჯამში თავგები და ვირთხები უფრო იკვებებიან, ვიდრე მიუსაფარი ცხოველები და კვლავ ვლელულობთ ინფექციის გავრცელების ახალ კერებს.

ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს როგორც მიუსაფარი ძაღლების, ასევე შინაური ძაღლების ფეკალიებით დაბინძურების დიდი სიხშირე. ფეკალიებში არსებული პარაზიტების კვერცხები სერიოზულ საფრთხეებს უქმნიან ადამიანებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს. თუმცა არც სხვა მხრივ არის მოსაწონი ფეკალიებით დანაგვიანებული ქალაქების ქუჩების ხილვა. არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ძაღლების შარდით. თუ ძაღლი დაავადებულია ლეპტოსპიროზით ან გადატანილი აქვს ეს დაავადება, შარდთან ერთად გამოყოფს ლეპტოსპიროზის გამომწვევ ბაქტერიას [1]. ლეპტოსპიროზი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. ადრე დაავადების გავრცელების მხრივ პრიორიტეტი აჭარას ეკუთვნოდა, თუმცა გლობალური დათბობის პირობებში წელს გურჯაანის რაიონში პირველი 5 თვის განმავლობაში 3 ადამიანი დაავადდა, მაშინ როდესაც ყოველწლიურად ამ რეგიონში მხოლოდ ერთი ადამიანი ინფიცირდებოდა და ისიც არა ყოველთვის. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიძლება იყოს საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონებშიც, აღარაფერს ვამბობთ აჭარაზე.



ლეპტოსპიროზი ძაღლებში



ლეიშმანიოზით დაავადებული ძაღლი

ასევე აღსანიშნავია, რომ ისეთი პარაზიტული დაავადებები, როგორცაა ლეიშმანიოზი, ექინოკოკოზი, ტოქსოკაროზი საქართველოში მნიშვნელოვნად პროგრესირებდნენ ბოლო წლების განმავლობაში და მიუხედავად დიაგნოსტიკური მეთოდებისა და მკურნალობის გაუმჯობესებისა, ისევ და ისევ გლობალური დათბობის ფონზე კვლავაც სერიოზულ საფრთხეებს წარმოადგენენ ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისათვის [1]. რაც შეეხება ცოფს, იგი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება N1 პრობლემად მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, როგორც ადამიანთა, ასევე ცხოველთა სწრაფი სიკვდილიანობის თვალსაზრისით. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ დაავადება საზიანო არ არის ძალღებისათვის ან სხვა ცხოველებისათვის, მაგრამ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანისათვის. ასე მაგალითად, ძაღლების ნაწლავებში მყოფი ექინოკოკის ზრდასრული ჭიების არსებობა მაინცდამაინც დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს ამ ცხოველებისათვის, მაგრამ ადამიანების დასნებოვნების შემთხვევაში ექინოკოკოზი მკურნალობის გარეშე არც თუ ისე იშვიათად სიკვდილით მთავრდება [2]. რაც შეეხება ვისცერულ ლეიშმანიოზს, აქ ყველაფერი პირიქითაა. რადგანაც ცხოველის განკურნების შემთხვევაშიც კი, იგი მაინც დიდ საშიშროებას წარმოადგენს ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით და მოითხოვს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ ყოფნას, როგორც პატრონის, ასევე ვეტერინარის მხრიდან, რამეთუ ნამკურნალები ძაღლის ორგანიზმში ჯერ კიდევ შეიცავს ლეიშმანიის გავრცელებისათვის საკმარისი რაოდენობის ამასტიგოტებს, მაშინ როდესაც გამოჯანმრთელებულ ადამიანებში ისინი მეტწილად მთლიანად განიღვებებიან ორგანიზმიდან [3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვისცერული ლეიშმანიოზი საქართველოში ძირითადად ბავშვებში აღინიშნება და ადრე გავრცელებული იყო ქვეყნის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ ახლა გლობალური დათბობის ფონზე იგი დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა და იქაც სერიოზული ზიანი მიაყენა მოსახლეობას. ჩვენ უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ვისცერული ლეიშმანიოზი ადამიანებში მკურნალობის გარეშე სიკვდილით მთავრდება და 90-იან წლებში საქართველოში რამოდენიმე ბავშვი შეენირა ამ დაავადებას. სადღეისოდ, ლეიშმანიოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და ამ მხრივ საქართველოში ადამიანებს საფრთხე შედარებით ნაკლებად ემუქრებათ. თუმცა, არც თუ ისე იშვიათად ვისცერული ლეიშმანიოზის მკურნალობის შემდეგ ადამიანებში გრძელდება ამ დაავადების რეციდივების წარმოქმნა, რამეთუ ეს პარაზიტები რეზისტენტულები გახდნენ გარკვეული სახის ანტიბიოტიკების მიმართ და სერიოზულ პრობლემას ქმნიან ამ თვალსაზრისით, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლეიშმანიოზი საქართველოში საკმაოდ ფეხმოკიდებულია შინაურ ძაღლებშიც და ისინიც ინფექციის წყაროს წარმოადგენენ არამარტო მკურნალობამდე, არამედ მკურნალობის შემდეგაც და საჭიროებენ დამატებით მზრუნველობას და ზედამხედველობას, როგორც პატრონების, ასევე ვეტერინარული სამსახურის მხრივ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვეტხვაძე ნინო. ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია, 2019 წ. თსუ-ს გამომცემლობა; 88-94.
2. Attenborough David. A life on Our Planet, 2022; 192-202.
3. Burton J. Bogitsh, Clint E. Carter and Thomas N. Oeltman. Human parasitology, 5th edition 2019; 91-98; 248-257.

<https://zooclub.ambebi.ge/dzaghli/janmrtheloba/558-leishmaniozi-dzaghlebis-sashishi-daavadeba.html>

<https://test.ncdc.ge/Pages/User/LetterContent.aspx?ID=bac7a8ad-9e13-44c3-aff1-8fa26f953702>

<http://www.vidal.ge/health/leptospirozi>

<https://www.lovepets.com.ua/ka/blog/likuvannia-ta-profilaktyka-leptospirozu-u-sobak/>

<https://kvispalitra.ge/article/17982-leishmaniozi-mdzime-daavadeba-patara-mtserisagan/>

დავით ცხომელიძე, ნატალია ჭილაძე, ეკატერინე მჭედლიძეილი,
ნინო ხარაძე, თინათინ გოვიჩაძე

**საქართველოში ცხოველების რაოდენობის რეგულაციის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ და
მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკები**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამედიცინო ბიოლოგიისა და
პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

სადღეისოდ, საქართველოში მნიშვნელოვნად გაზრდილია მიუსაფარი ცხოველების, განსაკუთრებით კი ქუჩის ძაღლების რაოდენობა. ასევე საგრძნობლად მომატებულია შინაური ცხოველების რიცხვი. სტატისტიკური მონაცემები ამ მიმართულებით მხოლოდ ვარაუდის დონეზეა. ქვეყანაში ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს როგორც მიუსაფარი ცხოველების, ისე შინაური ცხოველების მიერ ქუჩების დაბინძურება ფეკალიებით და მათში არსებული პარაზიტების კვერცხებით, რაც საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს ქმნის საქართველოში სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების გასავრცელებლად. თუმცა, არც სხვა მხრივ არის მოსაწონი ცხოველთა ფეკალიებით დანაგვიანებული ქალაქების ქუჩების ხილვა და ამის ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვლა. უფრო მეტიც, გლობალური დათბობის პირობებში წარმოქმნილი ეკოლოგიური საფრთხეები მოითხოვს აღნიშნული პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს და გარკვეული გადანაცვებების დროულად მიღებას. ჩვენი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია დაავადებული ცხოველების აღრიცხვა მთელი საქართველოს მასშტაბით და მათი მკურნალობა. ასევე მნიშვნელოვანია ახალი ძაღლსაშენების მშენებლობების დაფინანსება. ასევე კარგი იქნება თუ უფრო მეტი საქართველოს მოქალაქე მოახერხებს ძვირადღირებული ჯიშის ძაღლების ნაცვლად ქუჩიდან მიუსაფარი ძაღლების ოჯახებში აყვანას და შემდგომში მათ მოვლა-პატრონობას.

რ